დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 აპრილის 15/21 ოქმით

# საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების მიმართ მოქმედი წესები

**ნაშრომის შესრულების ენა**

საკვალიფიკაციო ნაშრომი სრულდება შესაბამისი პროგრამის სწავლების ენაზე. უცხო ენაზე საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულების შემთხვევაში ინგლისურ ენაზე, თანდართული 25-30 გვერდიანი ქართულენოვანი ავტორეფერატით.

**საკვალიფიკაციო ნაშრომის სტრუქტურა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:**

- თავფურცელი
- მიმოხილვა (საბოლოო ნაშრომის წარდგენისას)
- სარჩევი
- ნაშრომში მოყვანილი ცხრილების, დიაგრამების, ილუსტრაციების და ა.შ. ჩამონათვალი (მათი არსებობის შემთხვევაში)
- ნაშრომში გამოყენებული შემოკლებების ჩამონათვალი (არასავალდებულო)
- ნაშრომში გამოყენებული სიმბოლოების ჩამონათვალი (არასავალდებულო)
- ნაშრომის ძირითადი ტექსტი
- დასკვნა (რეკომენდაციები მათი არსებობის შემთხვევაში)
- გამოყენებული ლიტერატურისა (ციტირებული ნაშრომების სია)
- დანართი (ცხრილები, ილუსტრაციები, დიაგრამები, კითხვარი და ა.შ.) მათი არსებობის შემთხვევაში

**საკვალიფიკაციო ნაშრომის სტრუქტურის აღწერა**

საკვალიფიკაციო ნაშრომის სტრუქტურის თითოეული შემადგენელი ნაწილი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან და მისი სათაური (მაგ.: სარჩევი, დასკვნა და ა.შ.) უნდა იყოს მოთავსებული ფურცლის შუაში.

თავფურცელი

თავფურცელი შეიცავს ნაშრომის სრულ სათაურს, ავტორის სახელს და გვარს, უნივერსიტეტის და სკოლის დასახელებას, რომელი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლადაა ნაშრომი წარდგენილი, ხელმძღვანელის სახელსა და გვარს, ნაშრომის შესრულების ადგილს და თარიღს.

მიმოხილვა

გვერდის სათაური არის მიმოხილვა. მიმოხილვაში მოკლედ უნდა დასახელდეს პრობლემა, წარმოჩნდეს კვლევის მთავარი მიზანი, კვლევის ობიექტი, შედეგები და აღმოჩენები. მიმოხილვა არ უნდა აღემატებოდეს 200 სიტყვას. წერის დროს გამოყენებულ უნდა იყოს წარსული დრო. პირველი სტრიქონი აბზაცით არ გამოიყოფა.

სარჩევი

გვერდის სათაური არის სარჩევი. სარჩევის მარცხენა სვეტში ჩამოთვლილია ნაშრომის თავებისა და ქვეთავების დასახელებები; ყოველი თავის ან ქვეთავის დასახელების გასწვრივ, მარჯვენა სვეტში მიეთითება თავის ან ქვეთავის საწყისი გვერდი; სარჩევი იბეჭდება ერთ ბწკარიანი შუალედით (***single spacing***).

ნაშრომში მოყვანილი ცხრილების, დიაგრამების, ილუსტრაციების და ა.შ. ჩამონათვალი

გვერდის სათაური არის ცხრილების, დიაგრამების, ილუსტრაციების და ა.შ.ჩამონათვალი (იმის მიხედვით რა ვიზუალური ნაწილია წარმოდგენილი ნაშრომში). მარცხენა სვეტში ჩამოთვლილია შესაბამისი მათგანის ნუმერაცია (თითოეული მათგანი ინომრება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად) და თითოეული მათგანის გასწვრივ, მარჯვენა სვეტში მიეთითება საწყისი გვერდი. ცხრილების, დიაგრამების, ილუსტრაციების და ა.შ. ჩამონათვალი იბეჭდება ერთ ბწკარიანი შუალედით (***single spacing***).

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებების ჩამონათვალი

გვერდის სათაური არის  შემოკლებების ჩამონათვალი. გვერდი უნდა შეიცავდეს იმ შემოკლებების, განმარტებების ჩამონათვალს, რომელიც გამოყენებულია ნაშრომის ტექსტში.

ნაშრომში გამოყენებული სიმბოლოების ჩამონათვალი

გვერდის სათაური არის სიმბოლოების ჩამონათვალი. გვერდი უნდა შეიცავდეს სიმბოლოების განმარტებების ჩამონათვალს, რომელიც გამოყენებულია ნაშრომის ტექსტში.

ძირითადი ტექსტი

ძირითადი ტექსტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან: შესავალი და ძირითადი ნაწილი.

შესავალი მოიცავს: წარმოაჩენს საკვლევი საკითხის აქტუალობას, სამუშაო ჰიპოთეზას, ნაშრომის შესრულების მიზანს, დასმულ ამოცანებს, გამოყენებული მეთოდების აღწერას, ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას.

ძირითადი ნაწილი მოიცავს: ლიტერატურის მიმოხილვას, კვლევის მეთოდოლოგიას, კვლევის შედეგების აღწერას და ანალიზს, სამუშაო ჰიპოთეზის დასაბუთებას და არგუმენტაციას.

ძირითადი ნაწილის დაყოფა ხორციელდება შემდეგი სახით:

თავი 1

1.1.ქვეთავი

1.2.ქვეთავი

თავი 2

2.1. ქვეთავი

2.2. ქვეთავი

და ა.შ.

ძირითად ნაწილში მოყვანილ თავებს და ქვეთავებს უნდა ჰქონდეს დასახელებები. ყოველი შემდეგი თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი იმავე გვერდიდან ორი ინტერვალის დაშორებით.

დასკვნა

გვერდის სათაური არის დასკვნა. იგი აჯამებს მიღებულ კვლევის შედეგებს, ადგენს მათ სავარაუდო ღირებულებას შესაბამისი მეცნიერების/ დისციპლინის ფარგლებში და წარმოადგენს შემუშვებულ რეკომენდაციებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გამოყენებული ლიტერატურა

გვერდის სათაური არის გამოყენებული ლიტერატურა და მოიცავს ნაშრომის ტექსტში ციტირებული ლიტერატურის სიას. ნაშრომში მითითებული ლიტერატურა უნდა განთავსდეს ამ ნაშრომების ავტორთა გვარების პირველი ასოს ანბანური თანმიმდევრობის შესაბამისად: თავდაპირველად მიეთითება ქართულენოვანი ლიტერატურა ანბანურად, შემდგომ რუსულენოვანი ლიტერატურა ანბანურად, შემდგომ ლათინურენოვანი ლიტერატურა ანბანურად.

დანართი

გვერდის სათაური არის დანართი. დანართი მოიცავს დამატებით საილუსტრაციო მასალას, რომელიც მეორეხარისხოვანია, მაგრამ გამოიყენება ნაშრომის შესრულებისას, მაგ.: კითხვარი, სტატისტიკური მონაცემები, ცხრილები, პროცედურის ანანალიზის დეტალები და ა. შ.

## საკვალიფიკაციო ნაშრომის/პროექტის შეფასების მიმართ მოქმედი წესები

**საკვალიფიკაციო ნაშრომის/პროექტის ეტაპები და მოცულობა:**

საკვალიფიკაციო ნაშრომის/პროექტის სათაურის წარდგენა/დამტკიცება

საკვალიფიკაციო ნაშრომის/პროექტის **კონცეფციის** წარდგენა და დაცვა

- საბაკალავრო პროგრამა - მოცულობა 1500-3000 სიტყვა (გამონაკლისია ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა - 900-1000 სიტყვა, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლა - 1300 სიტყვა)
- სამაგისტრო პროგრამა - მოცულობა 2500-4000 სიტყვა (გამონაკლისია ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა - 900-1000 სიტყვა, მეცნიერების და ტექნოლოგიები სკოლა - 2000 სიტყვა)

საკვალიფიკაციო ნაშრომის/პროექტის **წინასწარი განაცხადის** წარდგენა და დაცვა

- საბაკალავრო პროგრამა - მოცულობა 5000-7000 სიტყვა (გამონაკლისია ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა - 2000-3000 სიტყვა, მეცნიერების და ტექნოლოგიები სკოლა - 3100 სიტყვა)

- სამაგისტრო პროგრამა - მოცულობა 9000-12000 სიტყვა (გამონაკლისია ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა - 4000-5000 სიტყვა, მეცნიერების და ტექნოლოგიები სკოლა - 5700 სიტყვა, ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა - 6000 სიტყვა)

საკვალიფიკაციო **ნაშრომის/პროექტის** წარდგენა და დაცვა

- საბაკალავრო პროგრამა - მოცულობა 14000-18000 სიტყვა (გამონაკლისია ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა - 6000-8000 სიტყვა, მეცნიერების და ტექნოლოგიები სკოლა - 8000 სიტყვა)
- სამაგისტრო პროგრამა - მოცულობა 18000-23000 სიტყვა (გამონაკლისია ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა - 12000-14000 სიტყვა, მეცნიერების და ტექნოლოგიები სკოლა - 11000 სიტყვა, ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა - 12000 სიტყვა)

**შეფასების კრიტერიუმები**

თითოეული კომპონენტის შეფასება ხორციელდება შემდეგი წესით:

სტუდენტი სრულად ფლობს საჭირო ცოდნას, მსჯელობა თანმიმდევრული და ლოგიკურია, დასკვნები დასაბუთებულია -100%

სტუდენტი ფლობს საჭირო ცოდნის მნიშვნელოვან ნაწილს, მსჯელობა საკმარისად თანმიმდევრული და ლოგიკურია, დასკვნები დასაბუთებულია - 75%

სტუდენტი ნაწილობრივ ფლობს საჭირო ცოდნას, მსჯელობა მეტნაკლებად თანმიმდევრული და ლოგიკურია, დასკვნები მეტ დასაბუთებას საჭიროებს - 50%

სტუდენტის ინფორმაცია თემატიკაზე მწირია, მსჯელობა არათანმიდევრული და ნაკლებად ლოგიკურია, დასკვნები დაუსაბუთებელია - 25%

სტუდენტი სრულიად არ ფლობს თემატიკას - 0%

საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს განსხვავებული შეფასების კრიტერიუმი, მაგრამ ეს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წინამდებარე წესით დადგენილი შეფასების კრუტერიუმების არსს.

**საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შეფასება ხორციელდება შემდეგი წესით:**

**კონცეფციის შეფასების კრიტერიუმები:**

| კომპონენტი | კრიტერიუმი | მაქსიმალური შეფასება |
|---|---|---|
| პრობლემის/საკითხის დასმა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, აქტუალობის აღწერა, სავარაუდო სტრუქტურა | საკითხი აქტუალური და დასაბუთებულია; ჰიპოთეზა ნათლადაა ფორმულირებული, თეორიულად შემოწმებადია და იძლევა კვლევის შესაძლებლობას; მიზნები და ამოცანები კვლევისათვის რელევანტურია, სავარაუდო სტრუქტურა შემოთავაზებულია | 15 ქულა |
| შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა | შერჩეული წყაროები და ლიტერატურა რელევანტურია საკვლევი თემატიკისთვის | 5 ქულა |
| კვლევის სავარაუდო მეთოდები | კვლევის მეთოდები ჰიპოთეზისათვის რელევანტურია, არჩევანი დასაბუთებულია და იძლევა მისი შემოწმების საშუალებას | 5 ქულა |

**წინასწარი განაცხადის შეფასების კრიტერიუმები:**

| კომპონენტი | კრიტერიუმი | მაქსიმალური შეფასება |
|---|---|---|
| საკითხის დასმა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, ნაშრომის სტრუქტურა | საკვლევ საკითხთან და პიპოთეზასთან მიმართებაში ტერმინები და ცნებები სრულად და მკაფიოდაა განსაზღვრული; კვლევის მოსალოდნელი შედეგები საინტერესოა როგორც აკადემიური წრისთვის, ისე კონკრეტული სფეროს წარმომადგენლებისთვის; ნაშრომის სტრუქტურა შემუშავებულია | 4 ქულა |
| შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის ანალიზი | შერჩეული ლიტერატურის ანალიზი არის სრული და კრიტიკული; განხილული ნაშრომების ანალიზში ხაზგასმულია | 15 ქულა |

| | | |
|---|---|---|
| | ძირითადი თეორიული და მეთოდოლოგიური მიმართულებები და განხილულია მათი ძლიერი და სუსტი მხარეები; განხილულ ნაშრომთა რაოდენობა საკმარისია საკვლევი სფეროს სრულფასოვანი ანალიზისთვის | |
| კვლევის მეთოდოლოგია | კვლევის საკითხისათვის საჭირო ინფორმაციის/წყაროს მოძიების ხერხები განსაზღვრული და სანდოა; კვლევის შერჩეული მეთოდების კრიტიკული ანალიზი, მოძიებული პირველადი და მეორადი წყაროები შეესაბამება საკვლევ თემას; მონაცემებისა და საილუსტრაციო მასალები შეესაბამება კვლევის ჰიპოთეზას | 6 ქულა |
| წერილობითი ტექსტი | ლექსიკა მრავალფეროვანია; სინტაქსური კონსტრუქციები გამართულია; სტილი ადეკვატურია; ტექსტი მკაფიოდაა სტრუქტურირებული | 4 ქულა |
| პრეზენტაცია | საპრეზენტაციო ტექსტი ლაკონური და მკაფიოდ სტრუქტურირებულია; პრეზენტაციის ვიზუალური მხარე თავსებადია პრეზენტაციის ტექსტუალურ ნაწილთან; პრეზენტატორი თავისუფლად ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან; პრეზენტაციის და დისკუსიის მანერა შეესაბამება ეთიკურ და აკადემიურ სტანდარტებს | 4 ქულა |
| დისკუსია | საპრეზენტაციო თემის ირგვლივ წამოჭრილ | 2 ქულა |

| | | |
|---|---|---|
| | შეკითხვებზე პასუხი ადეკვატური, ამომწურავი და დასაბუთებულია. | |

**საბოლოო დაცვის შეფასების კრიტერიუმები:**

| **კომპონენტი** | **კრიტერიუმი** | **მაქსიმალური შეფასება** |
|---|---|---|
| ნაშრომის შინაარსობრივი მხარე | ნაშრომის შინაარსი ორგანიზებულია მკაფიოდ და ლოგიკურად | 10 ქულა |
| კვლევის შედეგები, ანალიზი და დასკვნა | კვლევის შედეგები ლოგიკურად ადასტურებს ან უარყოფს დასმულ ჰიპოთეზას; ანალიზი სიღრმისეული, დეტალური, თანმიმდევრული და კრიტიკულია; დასკვნა ლოგიკური და არგუმენტირებულია, ასახავს შემდგომი კვლევის პერსპექტივებს; შედეგები რელევანტური და მისაღებია პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის | 10 ქულა |
| წერილობითი ტექსტი | ლექსიკა მრავალფეროვანია; სინტაქსური კონსტრუქციები გამართულია; სტილი ადექვატურია; ტექსტი მკაფიოდაა სტრუქტურირებული | 10 ქულა |
| პრეზენტაცია | საპრეზენტაციო ტექსტი ლაკონური და მკაფიოდ სტრუქტურირებულია; პრეზენტაციის ვიზუალური მხარე თავსებადია პრეზენტაციის ტექსტუალურ ნაწილთან; პრეზენტატორი თავისუფლად | 5 ქულა |

| | | |
|---|---|---|
| | ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან; პრეზენტაციის და დისკუსიის მანერა შეესაბამება ეთიკურ და აკადემიურ სტანდარტებს | |
| დისკუსია | საპრეზენტაციო თემის ირგვლივ წამოჭრილ შეკითხვებზე პასუხი ადეკვატური, ამომწურავი და დასაბუთებულია და აჩვენებს საკითხის შესახებ სტუდენტის სიღრმისეულ ცოდნასა და გაცნობიერებას. | 5 ქულა |

**სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასება ხორციელდება შემდეგი წესით:**

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება საბოლოო დაცვაზე. საბოლოო დაცვამდე მაგისტრანტმა სავალდებულოა გაიაროს შემდეგი ეტაპები და აღნიშნული კომპონენტების/კრიტერიუმების შესაბამისად ეძლევა რეკომენდაციები:

**კონცეფცია:**

| **კომპონენტი** | **კრიტერიუმი** |
|---|---|
| პრობლემის/საკითხის დასმა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, აქტუალობის აღწერა, სავარაუდო სტრუქტურა | საკითხი აქტუალური და დასაბუთებულია; ჰიპოთეზა ნათლადაა ფორმულირებული, თეორიულად შემოწმებადია და იძლევა კვლევის შესაძლებლობას; მიზნები და ამოცანები კვლევისათვის რელევანტურია სავარაუდო სტრუქტურა შემოთავაზებულია |
| შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა | შერჩეული წყაროები და ლიტერატურა რელევანტურია საკვლევი თემატიკისთვის |
| კვლევის სავარაუდო მეთოდები | კვლევის მეთოდები ჰიპოთეზისათვის რელევანტურია, არჩევანი დასაბუთებულია და იძლევა მისი შემოწმების საშუალებას. |

**წინასწარი განაცხადი**

# საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესი

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 აპრილის 15/21 ოქმით

| კომპონენტი | კრიტერიუმი |
|---|---|
| საკითხის დასმა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, ნაშრომის სტრუქტურა | ტერმინები და ცნებები სრულად და მკაფიოდაა განსაზღვრული; კვლევის მოსალოდნელი შედეგები საინტერესოა როგორც აკადემიური წრისთვის, ისე კონკრეტული სფეროს წარმომადგენლებისთვის; ნაშრომის სტრუქტურა შემუშავებულია. |
| შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის ანალიზი | შერჩეული ლიტერატურის ანალიზი არის სრული და კრიტიკული; განხილული ნაშრომების ანალიზში ხაზგასმულია ძირითადი თეორიული და მეთოდოლოგიური მიმართულებები და განხილულია მათი ძლიერი და სუსტი მხარეები; განხილულ ნაშრომთა რაოდენობა საკმარისია საკვლევი სფეროს სრულფასოვანი ანალიზისთვის |
| კვლევის მეთოდოლოგია | კვლევის საკითხისათვის საჭირო ინფორმაციის/წყაროს მოძიების ხერხები განსაზღვრული და სანდოა; კვლევის შერჩეული მეთოდების კრიტიკული ანალიზი, მოძიებული პირველადი და მეორადი წყაროები შეესაბამება საკვლევ თემას; მონაცემებისა და საილუსტრაციო მასალები შეესაბამება კვლევის ჰიპოთეზას |
| წერილობითი ტექსტი | ლექსიკა მრავალფეროვანია; სინტაქსური კონსტრუქციები გამართულია; სტილი ადეკვატურია; ტექსტი მკაფიოდაა სტრუქტურირებული |
| პრეზენტაცია | საპრეზენტაციო ტექსტი ლაკონური და მკაფიოდ სტრუქტურირებულია; პრეზენტაციის ვიზუალური მხარე თავსებადია პრეზენტაციის ტექსტუალურ ნაწილთან; პრეზენტატორი თავისუფლად ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან; პრეზენტაციის და დისკუსიის მანერა შეესაბამება ეთიკურ და აკადემიურ სტანდარტებს |
| დისკუსია | საპრეზენტაციო თემის ირგვლივ წამოჭრილ შეკითხვებზე პასუხი ადეკვატური, ამომწურავი და დასაბუთებულია. |

**საბოლოო დაცვის შეფასების კრიტერიუმები:**

| კომპონენტი | კრიტერიუმი | მაქსიმალური შეფასება |
|---|---|---|
| ნაშრომის შინაარსობრივი მხარე | ნაშრომის შინაარსი ორგანიზებულია მკაფიოდ და ლოგიკურად | 25 ქულა |
| კვლევის შედეგები, ანალიზი და დასკვნა | კვლევის შედეგები ლოგიკურად ადასტურებს ან უარყოფს დასმულ ჰიპოთეზას; ანალიზი სიღრმისეული, დეტალური, თანმიმდევრული და კრიტიკულია; დასკვნა ლოგიკური და არგუმენტირებულია, ასახავს შემდგომი კვლევის პერსპექტივებს; შედეგები რელევანტური და მისაღებია პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის | 25 ქულა |
| წერილობითი ტექსტი | ლექსიკა მრავალფეროვანია; სინტაქსური კონსტრუქციები გამართულია; სტილი ადექვატურია; ტექსტი მკაფიოდაა სტრუქტურირებული | 25 ქულა |
| პრეზენტაცია | საპრეზენტაციო ტექსტი ლაკონური და მკაფიოდ სტრუქტურირებულია; ტექსტუალურ ნაწილთან; პრეზენტატორითავისუფლად ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან; პრეზენტაციის და დისკუსიის მანერა შეესაბამება ეთიკურ და აკადემიურ სტანდარტებს | 15 ქულა |
| დისკუსია | საპრეზენტაციო თემის ირგვლივ წამოჭრილ შეკითხვებზე პასუხი  ადეკვატური, | 10 ქულა |

| | | |
|---|---|---|
| | ამომწურავი და დასაბუთებულია და აჩვენებს საკითხის შესახებ სტუდენტის სიღრმისეულ ცოდნასა და გაცნობიერებას | |

# საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების ფორმები

**საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის სათაურის დამტკიცება**

---------------------------- სასწავლო წლის ---------------------- სემესტრი
(შესაბამისი სასწავლო წელი) (შესაბამისი სემესტრი)

საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის სათაურის დამტკიცება

**სკოლა:**
**ბაკალავრის სახელი და გვარი:**
**საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დასახელება:**

**საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის სახელწოდება დამტკიცდეს შემდეგი სახით:**
--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------.

**საბჭოს წევრების ხელმოწერა**

თავჯდომარე

ხელმძღვანელი

ექსპერტი

თარიღი:

**საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციის შეფასების ფორმა**

---------------------------- სასწავლო წლის ---------------------- სემესტრი
(შესაბამისი სასწავლო წელი) (შესაბამისი სემესტრი)

**საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციის შეფასება**

**სკოლა:**
**ბაკალავრის სახელი და გვარი:**
**საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დასახელება:**

| **კომპონენტი** | **მაქსიმალური შეფასება** | **მიღებული შეფასება** |
|---|---|---|
| პრობლემის/საკითხის დასმა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, აქტუალობის აღწერა, სავარაუდო სტრუქტურა | 15 ქულა | |
| შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა | 5 ქულა | |
| კვლევის სავარაუდო მეთოდები | 5 ქულა | |
| **საბოლოო ქულა** | **25** | |

თავჯდომარე

ექსპერტი

(არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ან/და მომიჯნავე სფეროს წარმომადგენელი აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან ან მეცნიერი მკვლევარი)

თარიღი:

**საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადის შეფასების ფორმა**

**----------------------------- სასწავლო წლის ---------------------- სემესტრი**
(შესაბამისი სასწავლო წელი) (შესაბამისი სემესტრი)

**საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადის შეფასება**

**სკოლა:**
**ბაკალავრის სახელი და გვარი:**
**საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დასახელება:**

| **კომპონენტი** | **მაქსიმალური შეფასება** | **მიღებული შეფასება** |
|---|---|---|
| საკითხის დასმა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, ნაშრომის სტრუქტურა | 4 ქულა | |
| შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის ანალიზი | 15 ქულა | |
| კვლევის მეთოდოლოგია | 6 ქულა | |
| წერილობითი ტექსტი | 4 ქულა | |
| პრეზენტაცია | 4 ქულა | |
| დისკუსია | 2 ქულა | |
| **საბოლოო ქულა** | **35** | |

თავჯდომარე

ექსპერტი

(არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ან/და მომიჯნავე სფეროს წარმომადგენელი აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან ან მეცნიერი მკვლევარი)

თარიღი:

**საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის საბოლოო დაცვის შეფასების ფორმა**

----------------------------- სასწავლო წლის ---------------------- სემესტრი
(შესაბამისი სასწავლო წელი) (შესაბამისი სემესტრი)

**საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის საბოლოო დაცვის შეფასება**

**სკოლა:**
**ბაკალავრის სახელი და გვარი:**
**საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დასახელება:**

| **კომპონენტი** | **მაქსიმალური შეფასება** | **მიღებული შეფასება** |
|---|---|---|
| ნაშრომის შინაარსობრივი მხარე | 10 ქულა | |
| კვლევის შედეგები, ანალიზი და დასკვნა | 10 ქულა | |
| წერილობითი ტექსტი | 10 ქულა | |
| პრეზენტაცია | 5 ქულა | |
| დისკუსია | 5 ქულა | |
| **საბოლოო ქულა** | **40** | |

თავჯდომარე

ექსპერტი

(არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ან/და მომიჯნავე სფეროს წარმომადგენელი აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან ან მეცნიერი მკვლევარი)

თარიღი:

**სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სათაურის დამტკიცება**

----------------------------- სასწავლო წლის ----------------------- სემესტრი
(შესაბამისი სასწავლო წელი) (შესაბამისი სემესტრი)

**სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სათაურის დამტკიცება**

**სკოლა:**
**მაგისტრანტის სახელი და გვარი:**
**სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დასახელება:**

**სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სახელწოდება დამტკიცდეს შემდეგი სახით:**
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------.

**საბჭოს წევრების ხელმოწერა**

თავჯდომარე

ხელმძღვანელი

ექსპერტი

**თარიღი:**

**სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციის დაცვის ოქმის ფორმა**

----------------------------- სასწავლო წლის ----------------------- სემესტრი
(შესაბამისი სასწავლო წელი) (შესაბამისი სემესტრი)

**სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციის დაცვის ოქმი**

**სკოლა:**
**მაგისტრანტის სახელი და გვარი:**
**სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დასახელება:**

**დღის წესრიგი:**
---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------.

**საბჭოს წევრების რეკომენდაციები:**

| კომპონენტი | კრიტერიუმი | რეკომენდაციები |
|---|---|---|
| პრობლემის/საკითხის დასმა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, აქტუალობის აღწერა, სავარაუდო სტრუქტურა | საკითხი აქტუალური და დასაბუთებულია; ჰიპოთეზა ნათლადაა ფორმულირებული, თეორიულად შემოწმებადია და იძლევა კვლევის შესაძლებლობას; მიზნები და ამოცანები კვლევისათვის რელევანტურია სავარაუდო სტრუქტურა შემოთავაზებულია | |
| შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა | შერჩეული წყაროები და ლიტერატურა რელევანტურია საკვლევი თემატიკისთვის | |

| | | |
|---|---|---|
| კვლევის სავარაუდო მეთოდები | კვლევის მეთოდები ჰიპოთეზისათვის რელევანტურია, არჩევანი დასაბუთებულია და იძლევა მისი შემოწმების საშუალებას. | |

თავჯდომარე

ხელმძღვანელი

ექსპერტი

თარიღი:

**სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადის დაცვის ოქმის ფორმა**

----------------------------- **სასწავლო წლის** ---------------------- **სემესტრი**
(შესაბამისი სასწავლო წელი) (შესაბამისი სემესტრი)

**სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადის დაცვის ოქმი**

**სკოლა:**
**მაგისტრანტის სახელი და გვარი:**
**სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დასახელება:**

**დღის წესრიგი:**
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------.

**საბჭოს წევრების რეკომენდაციები:**

| კომპონენტი | კრიტერიუმი | რეკომენდაციები |
|---|---|---|
| საკითხის დასმა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, ნაშრომის სტრუქტურა | ტერმინები და ცნებები სრულად და მკაფიოდაა განსაზღვრული; კვლევის მოსალოდნელი შედეგები საინტერესოა როგორც აკადემიური წრისთვის, ისე კონკრეტული სფეროს წარმომადგენლებისთვის; ნაშრომის სტრუქტურა შემუშავებულია. | |

| | | |
|---|---|---|
| შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის ანალიზი | შერჩეული ლიტერატურის ანალიზი არის სრული და კრიტიკული; განხილული ნაშრომების ანალიზში ხაზგასმულია ძირითადი თეორიული და მეთოდოლოგიური მიმართულებები და განხილულია მათი ძლიერი და სუსტი მხარეები; განხილულ ნაშრომთა რაოდენობა საკმარისია საკვლევი სფეროს სრულფასოვანი ანალიზისთვის | |
| კვლევის მეთოდოლოგია | კვლევის საკითხისათვის საჭირო ინფორმაციის/წყაროს მოძიების ხერხები განსაზღვრული და სანდოა; კვლევის შერჩეული მეთოდების კრიტიკული ანალიზი, მოძიებული პირველადი და მეორადი წყაროები შეესაბამება საკვლევ თემას; მონაცემებისა და საილუსტრაციო მასალები შეესაბამება კვლევის ჰიპოთეზას | |
| წერილობითი ტექსტი | ლექსიკა მრავალფეროვანია; სინტაქსური კონსტრუქციები გამართულია; სტილი ადეკვატურია; ტექსტი მკაფიოდაა სტრუქტურირებული | |
| პრეზენტაცია | საპრეზენტაციო ტექსტი ლაკონური და მკაფიოდ სტრუქტურირებულია; პრეზენტაციის ვიზუალური მხარე თავსებადია პრეზენტაციის ტექსტუალურ ნაწილთან; პრეზენტატორი თავისუფლად ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან; პრეზენტაციის და დისკუსიის მანერა შეესაბამება ეთიკურ და აკადემიურ სტანდარტებს | |
| დისკუსია | საპრეზენტაციო თემის ირგვლივ წამოჭრილ შეკითხვებზე პასუხი ადეკვატური, ამომწურავი და დასაბუთებულია. | |

თავჯდომარე

ხელმძღვანელი

ექსპერტი

თარიღი:

**სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის საბოლოო დაცვის შეფასების ფორმა**

---------------------------- **სასწავლო წლის** ---------------------- **სემესტრი**
(შესაბამისი სასწავლო წელი) (შესაბამისი სემესტრი)

**სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის საბოლოო დაცვის შეფასება**

**სკოლა:**
**მაგისტრანტის სახელი და გვარი:**
**სამაგისტრო/პროექტის ნაშრომის დასახელება:**

| **კომპონენტი** | **მაქსიმალური შეფასება** | **მიღებული შეფასება** |
|---|---|---|
| ნაშრომის შინაარსობრივი მხარე | 25 ქულა | |
| კვლევის შედეგები, ანალიზი და დასკვნა | 25 ქულა | |
| წერილობითი ტექსტი | 25 ქულა | |
| პრეზენტაცია | 15 ქულა | |
| დისკუსია | 10 ქულა | |
| **საბოლოო ქულა** | **100** | |

თავჯდომარე

ექსპერტი

თარიღი:

**სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის ოქმის ფორმა**

----------------------------- სასწავლო წლის ---------------------- სემესტრი
(შესაბამისი სასწავლო წელი) (შესაბამისი სემესტრი)

**სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის ოქმი**

**სკოლა:**
**მაგისტრანტის სახელი და გვარი:**
**სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დასახელება:**

**დღის წესრიგი:**
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------.

**საბჭოს წევრების მოსაზრებები:**

| კომპონენტი | კრიტერიუმი | მოსაზრებები |
|---|---|---|
| ნაშრომის შინაარსობრივი მხარე | ნაშრომის შინაარსი ორგანიზებულია მკაფიოდ და ლოგიკურად | |
| კვლევის შედეგები, ანალიზი და დასკვნა | კვლევის შედეგები ლოგიკურად ადასტურებს ან უარყოფს დასმულ ჰიპოთეზას; ანალიზი სიღრმისეული, დეტალური, თანმიმდევრული და კრიტიკულია; დასკვნა ლოგიკური და არგუმენტირებულია, ასახავს შემდგომი კვლევის პერსპექტივებს; შედეგები რელევანტური და მისაღებია პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის | |

| | | |
|---|---|---|
| წერილობითი ტექსტი | ლექსიკა მრავალფეროვანია; სინტაქსური კონსტრუქციები გამართულია; სტილი ადექვატურია; ტექსტი მკაფიოდაა სტრუქტურირებული | |
| პრეზენტაცია | საპრეზენტაციო ტექსტი ლაკონური და მკაფიოდ სტრუქტურირებულია; ტექსტუალურ ნაწილთან; პრეზენტატორითავისუფლად ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან; პრეზენტაციის და დისკუსიის მანერა შეესაბამება ეთიკურ და აკადემიურ სტანდარტებს | |
| დისკუსია | საპრეზენტაციო თემის ირგვლივ წამოჭრილ შეკითხვებზე პასუხი ადეკვატური, ამომწურავი და დასაბუთებულია და აჩვენებს საკითხის შესახებ სტუდენტის სიღრმისეულ ცოდნასა და გაცნობიერებას | |

თავჯდომარე

ხელმძღვანელი

ექსპერტი

თარიღი:

## საკვალიფიკაციო ნაშრომის თითოეული ეტაპის დაცვის, გადაგზავნის/გადავადების მიმართ მოქმედი წესები

საკვალიფიკაციო ნაშრომის/პროექტის სათაურის წარდგენა ხდება შესაბამისი სემესტრის პირველ კვირას
საკვალიფიკაციო ნაშრომის/პროექტის კონცეფციის წარდგენა და დაცვა ხდება შესაბამისი სემესტრის მესამე კვირას
საკვალიფიკაციო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადის წარდგენა და დაცვა ხდება შესაბამისი სემესტრის მეცხრე კვირას
საკვალიფიკაციო ნაშრომის/პროექტის წარდგენა და დაცვა ხდება შესაბამისი სემესტრის მეცხრამეტე კვირას.

სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო ნაშრომის თითოეული ეტაპის გადაგზავნა ხორციელდება ცხრილში მოცემული ვადების დაცვით.
საპატიო მიზეზის არსებობისას, გადაგზავნის ვადების გადავადება ხორციელდება 1 კვირის ვადით.

| **ეტაპები** | **ხელმძღვანელი და საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი** | **ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის შინაარსობრივი/ APA-ს სტილის ექსპერტიზა** | **მენეჯერის მიერ დასრულებულ ნაშრომში APA-ს სტილის ექსპერტიზა** | **საბჭოს თავმჯდომარისა და ექსპერტისთვის ექსპერტიზის ვადა** |
|---|---|---|---|---|
| **კონცეფცია** | დაცვამდე 5 კალენდარული დღით ადრე | დაცვამდე 3 კალენდარული დღით ადრე | | დაცვამდე 2 კალენდარული დღით ადრე |
| **წინასწარი განაცხადი** | დაცვამდე 6 კალენდარული დღით ადრე | დაცვამდე 4 კალნედარული დღით ადრე | | დაცვამდე 4 კალენდარული დღით ადრე |
| **საბოლოო დაცვა** | დაცვამდე 9 კალენდარული დღით ადრე | დაცვამდე 7 კალენდარული დღით ადრე | დაცვამდე 6 კალნედარული დღით ადრე | დაცვამდე 4 კალენდარული დღით ადრე |